აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №35

15/10/2024 **ქ. ბათუმი**

„ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის №31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის №31 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

„ბ) საარჩევნო ბიულეტენი პროპორციული სისტემის არჩევნებისათვის (ფორმა 2-07.02.04);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1- 07.02.04);

ზ) საუბნო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საუბნო პროპორციული) (ფორმა №1- 07.05.04);“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე. 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი